პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 91 (5121)

1974 წ. 9 მაისი, ხუთშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კოლეგიურობა

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

9 მაისს — დიდ სამამულო ომში საბჭთა ხალხის გამარჯვების დღესასწაულს მილოცავთ. ამზანაგებო!

დამატებითი პენალტები გაუქმდა

მოსკოვი, 8 მაისი. (სკდესი). სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ განიხილა პრესის კრიტიკული გამოსვლები მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ ზოგიერთ მოთამაშეთა საქციელზე 26 აპრილის შეხვედრაში (0:0) 11-მეტრიანი დარტყმების დროს. ამ მატჩის შედეგი გაუქმებულია და გუნდები პირველი წრის ბოლოს ხელმეორედ შეხვდებიან ერთმანეთს. „სპარტაკისა“ და „დინამოს“ ხელმძღვანელებს მიეთითათ სუსტი აღმზრდელობითი მუშაობის გამო.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა წინადადებით მიმართა სსრ კავშირის სპორტკომიტეტს საკავშირო ჩემპიონატში ნულოვანი ფრედ დამთავრებული შეხვედრების შემდეგ პენალტების გაუქმების თაობაზე.

საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო ამ წინადადებას დაყაბულდა: ახალი წესი ძალაში შედის ა. წ. 8 მაისიდან.

ჩვენ ქვეყანაში

სარბიელზე არიან ეროვნულ სახეობათა ოსტატები

აშხაბადი, 7 მაისი. კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის სტადიონზე გაიხსნა შუა აზიის რესპუბლიკებისა და ყაზახეთის ათლეტთა ტრადიციული ტურნირი ჭიდაობის ეროვნულ სახეობებში.

საასპარეზოდ 100-მდე სპორტსმენმა მოიყარა თავი. სავალდებულო პროგრამაში შედის შუაზიური ჭიდაობა (იგი სამბოს ჰგავს, ოღონდ მტკივნეული ილეთები გამორიცხულია) და თურქმენთა ეროვნული სახეობა „გორეში“.

ტურნირი 10 მაისამდე გაგრძელდება. ეროვნული ჭიდაობის ორივე ზემოდასახელებულ სახეობაში I ადგილებზე გასულნი ჭილდოდ მიიღებენ ხელმარჯვე ოსტატთა ნახელავ სამახსოვრო საჩუქრებსაც.

ახალი ალმანახი-74

● **ლას-პალმასი, 6 მაისი.** მოჭადრაკე ვაჟთა აქ გაჩართულ რიგით მესამე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობა დიდოსტატმა ლ. ლიუბოევიჩმა (იუგოსლავია), რომელმაც 11 ქულა დაგროვა 15-დან. II-III ადგილები გაიყვეს ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ა. ბელიავსკიმ (ლვოვი) და დიდოსტატმა ფ. ოლაფსონმა (ისლანდია) — 10-10 ქულა. IV-VII ადგილები გაიყვეს ლ. პოლუგაევსკიმ (სსრ კავშირი), ბ. ლარსენმა (დანია), გ. გარსიამ (კუბა) და უ. ანდერსონმა (შვეცია) — 9,5-9,5.

● **ლახორი, 6 მაისი.** დევისის თასის გათამაშების აღმოსავლეთის ზონის ფინალში გავიდნენ ავსტრალიის ჩოგბურთელები, რომლებმაც აქ ანგარიშით 3:2 სძლიეს პაკისტანის წარმომადგენლებს. გამარჯვებულები ინდოეთის ნაკრებს შეხვდებიან, რომელმაც შინ გამართულ ნახევარფინალურ მატჩში იაპონელებს აჯობა — 4:1.

ბუნებრივი ყიბრალ

პრიზიორები

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. ლონდონი. 2-5 მაისი.

მსუბუქი წონა (63 კგ-მდე). 1. ს. მელნიჩენკო (სსრ კავშირი), 2. დ. და კოსტა (დიდი ბრიტანეთი), 3. შ. ფიცხელაური (სსრ კავშირი), მ. ალეიზი (საფრანგეთი).

ქვესაშუალო (70 კგ-მდე). 1. გ. კრიუგერი (გდრ), 2. ვ. დვორნიკოვი (სსრ კავშირი), 3. ე. დორბრანდტი (გფრ), ჟ. გოტე (საფრანგეთი).

საშუალო (80 კგ-მდე). 1. ჟ.-პ. კოშე (საფრანგეთი), 2. ა. რეიტერი (პოლონეთი), 3. რ. დიბელიუსი (დიდი ბრიტანეთი), ა. ადამჩიკი (პოლონეთი).

ძმმძსმ (93 კგ-მდე). 1. გ. ზუველა (იუგოსლავია), 2. გ. ნოეროიტერი (გფრ), 3. დ. სტარბრუკი (დიდი ბრიტანეთი), დ. ლორენცი (გდრ).

მძიმე (93 კგ-ს ზევით). 1. გ. ონაშვილი (სსრ კავშირი), 2. კ. დოლმანი (პოლანდია), 3. რ. ბერტე (საფრანგეთი), ვ. ცუგშვერდტი (გდრ).

აბსოლუტური პირველობა. 1. ს. ნოვიკოვი, 2. შ. ჩოჩიშვილი (ორივე — სსრ კავშირი), 3. ვ. ცუგშვერდტი (გდრ), ი. ვარგა (უნგრეთი).

დიდი ბრძოლა მართებგთ

გლაზოვში (ციმბირი) და უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. თბილისის „ბურევესტნიკმა“ ბოლო სამი შეხვედრა კვლავ წარუმატებლად ჩაატარა: ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან“ წააგო ანგარიშით 22:25, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტთან — 22:35, ცსკა-სთან — 19:29.

გაგაცნობთ დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: საავიაციო ინსტიტუტი — ცსკა 29:27, მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — ასკ (კიევი) 18:18, „კუნცევო“ — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (ტაშკენტი) 19:18, ასკ — „კუნცევო“ 19:25, „ალუმინსტროი“ — მეტალურგიული ინსტიტუტი 23:22, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი — ცსკა 21:25, საავიაციო ინსტიტუტი — მეტალურგიული ინსტიტუტი 29:28, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი — ასკ 15:18, „ალუმინსტროი“ — „კუნცევო“ 15:18.

ახლა ხელბურთელებს ელით საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი, მესამე წრე, რომელიც ერთი კვირის შემდეგ ტაშკენტში იწყება. თბილისელ ხელბურთელებს (მათ სულ 6 ქულა აქვთ) დიდი ბრძოლა მართებთ, რათა უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნონ.

გაგაცნობთ გუნდების მდგომარეობას გლაზოვში ჩატარებული ტურის მიხედვით:

	მ.	ფ.	წ	ბ.	ქ.
საავიაციო ინსტ.	7	0	0	198:156	14
„კუნცევო“	6	0	1	150:138	12
ცსკა	5	0	2	172:144	10
ასკ	3	1	3	136:146	7
„ალუმინსტროი“	3	0	4	138:158	6
მეტალურგ. ინსტ.	2	1	4	155:149	5
ფიზკ. ინსტიტუტის სპორტკლუბი	1	0	6	132:161	2
„ბურევესტნიკი“	0	0	7	141:180	0

● ●

ტაში ამრამს ეკუთვნოდა

ლუცკი, 7 მაისი. აქ დაიწყო უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. პირველივე შეხვედრაში თავი გამოიჩინა მოლდაველმა სპორტსმენმა ლ. ამრამმა, რომელმაც მინსკელთა კარის მცველებს ნ. ფომინასა და ნ. კრივეცკაიას ცხრაჯერ გამოატანინა ბურთი ბადიდან. 19:17 — ასეთი ანგარიშით სძლია კიშინიოვის „ისკრომა“ მინსკის „ტექნოლოგს“.

კიევის სახლმშენებელი კომბინატის გუნდმა გაჭირვებით მოუგო მოსკოვის „ლუჩს“ — 13:12.

ტურნირისადმი ინტერესს ზრდის სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონის, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელის — კიევის „სპარტაკის“ მონაწილეობა.

გამარჯვების დღის აღსანიშნავად



შამათი სამ სვლაში

ამ ამოცანის ავტორი, ცნობილი თბილისელი პრობლემისტი რ. თავარიანი დიდი სამამულო ომის მონაწილეა. თავისი ახალი ნაწარმოები მან ომგადახდილ მებრძოლებს უძღვნა გამარჯვების დღის აღსანიშნავად.

მშვიდობის ველორბოლის საზეიმო გახსნა

ვარშავა, 7 მაისი. დღეს „ათი წლისთავის“ სტადიონზე პოლონეთის დედაქალაქის უამრავი მცხოვრები მოვიდა, რათა დასწრებოდა მშვიდობის XXVII ველორბოლის გახსნის საზეიმო ცერემონიალს. შეჯიბრებას ატარებენ გაზეთების „ტრიბუნა ლიუდუს“, „ნოიეს დოიჩლანდისა“ და „რუდე პრავოს“ რედაქციები.

ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ა. როდონიმ (იტალია) აღნიშნა, რომ მშვიდობის ველორბოლა უმაღლესი კლასის სპორტსმენთა სამეჯლოდ იქცა. პოლონეთის, გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გზებზე გაჩაღებული მძაფრი და მიმზიდველი ბრძოლა სპორტის მოყვარულთა უდიდეს ინტერესს იწვევს.

8 მაისს სტარტზე გამოვლენ 19 ქვეყნის — ავსტრიის, ინგლისის, ბულგარეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, ჰოლანდიის, დანიის, იტალიის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, თურქეთის, ფინეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის სპორტსმენები.

მშვიდობის ველორბოლის მონაწილეებმა უნდა გაიარონ 14 ეტაპი, რომელთა საერთო სიგრძე 1821,5 კილომეტრია. მარშრუტი ასეთია: ვარშავა — ბერლინი — პრაღა. სპორტსმენები პოლონეთის ტერიტორიაზე გაივლიან 612,5 კმ-ს, გდრ-ის გზებზე — 708, ხოლო ჩეხოსლოვაკიის საზღვრებში — 501 კმ-ს.

— საბჭოთა სპორტსმენები მზად არიან ბრძოლისთვის, — უთხრა საკდუსის კორესპონდენტს სსრ კავშირის გუნდის ხელმძღვანელმა ვ. შიმუკმა.— ლიხაჩოვს, გორელოვს, მიხაილოვს, აგრეთვე, გუნდის დებიუტანტებს პიკუუსს, სკოსირევს და ჩუსოვს განზრახული აქვთ წარმატება მოიპოვონ როგორც გუნდურ, ისე პირად ჯათვლაში.

ჩვენი მთავარი მეტოქეები, — განაგრძო შიმუკმა, — იქნებიან პოლონელი მრბოლელები, თუმცა მათს გუნდში წლეულს არ გამოდის შარშანდელი ველორბოლის გმირი შურკოვსკი, აგრეთვე, გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებიდან ყველაზე სერიოზულ კონკურენტებად უნდა მივიჩნიოთ ჰოლანდიელები. პირად ბრძოლაში მაღალი შედეგების მოპოვება შეუძლიათ 1972 წლის ველორბოლაში გამარჯვებულ მორავეცს (ჩეხოსლოვაკია), შოზდას (პოლონეთი), მილდეს (გდრ), აგრეთვე, ჰოლანდიელებს, რომლებიც რბოლის დროს დიდ სისწრაფეს ავითარებენ.

გთავაზობთ დღემდე გამართულ მშვიდობის ველორბოლებში პირად და გუნდურ ჯათვლაში გამარჯვებულთა სიას წლების მიხედვით:

1948. პროსინეკი (იუგოსლავია), პოლონეთი; 1949. ვესელი (ჩეხოსლოვაკია), საფრანგეთი; 1950. ემბორგი (დანია), ჩეხოსლოვაკია; 1951. ოლსენი (დანია), ჩეხოსლოვაკია; 1952. სტილი (დიდი ბრიტანეთი), დიდი ბრიტანეთი; 1953. პედერსენი (დანია), გდრ; 1954. დალგორდი (დანია), ჩეხოსლოვაკია; 1955. შური (გდრ), ჩეხოსლოვაკია; 1956. კრულიკაკი (პოლონეთი), სსრ კავშირი; 1957. ხრისტოვი (ბულგარეთი), გდრ; 1958. დამენი (ჰოლანდია), სსრ კავშირი; 1959. შური (გდრ), სსრ კავშირი; 1960. ჰაგენი (გდრ), გდრ; 1961. მელიხოვი (სსრკ), სსრ კავშირი; 1962. საიდხუჟინი (სსრკ), სსრ კავშირი; 1963. ამპლერი (გდრ), გდრ; 1964. სმოლიკი (ჩეხოსლოვაკია), გდრ; 1965. ლებედევი (სსრკ), სსრ კავშირი; 1966. გიუიო (საფრანგეთი), სსრ კავშირი; 1967. მაესი (ბელგია), პოლონეთი; 1968. პეშელი (გდრ), პოლონეთი; 1969. დანგიიომი (საფრანგეთი), გდრ; 1970. შურკოვსკი (პოლონეთი), პოლონეთი; 1971. შურკოვსკი (პოლონეთი), სსრ კავშირი; 1972. მორავეცი (ჩეხოსლოვაკია), სსრ კავშირი; 1973. შურკოვსკი (პოლონეთი), პოლონეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლაღი" — ინტერვიუ

ᲐᲩᲔᲓᲐᲜᲒᲔ ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ VI ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲨᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲡᲐᲒᲠᲣᲜᲐᲕᲘ

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს სპორტული დელეგაციის მიერ მოგროვებული ქულებიდან ყველაზე მეტი მუდამ დინამოელთა წილად მოდიოდა. V სპარტაკიადაშიც კი, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა ტრადიციული V ადგილი დათმო და ამ შეჯიბრებების ისტორიაში პირველად დაიხია უკან, „დინამოს" წარმომადგენლები ისევე საუკეთესონი აღმოჩნდნენ: საქართველოს 359-კაციანი ნაკრების ძირ მოგროვებული 801,5 ქულიდან 280,69 ქულა 83 დინამოელის გარჯის შედეგი იყო. საპრიზო ადგილიც ყველაზე მეტი მათ მოიპოვეს, ხოლო ტ. ალიბეგაშვილმა, შ. ლომიძემ, ჯ. მეგრელიშვილმა, ო. ფხაკაძემ, მ. ბოგუსმა, ა. მოშიაშვილმა, ვ. სანეევმა და თ. ლეკვეიშვილმა (2) ოქროს მედლები დაისაკუთრეს.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადამდე 15 თვეზე ცოტა მეტი დრო დარჩა. ყველა რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ქალაქში მორიგი ასპარეზობისთვის მზადება კარგა ხანია გარაღდა. ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატების შერჩევა ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ხანია დაიწყო. ფიზკულტურის კომიტეტებმა და სპორტასოციაციათა საბჭოებმა ამ მიზნით სათანადო ღონისძიებანი დასახეს.

იმაზე, თუ როგორ ემზადებიან დინამოელები საკავშირო სპარტაკიადისთვის, ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე შ. დიღიძე.

გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

— ბოლო სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრების უკან დახევამ გული დაგვწყვიტა. მართალია, რესპუბლიკის სხვა სპორტასოციაციებისა და უწყებების ფონზე დინამოელებს ბევრს ვერაფერს ვუსაყვედურებთ, მაგრამ საკავშირო სპარტაკიადის შემდეგ ჩვენი მესაძლებლობების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ „დინამოს" ათლეტებს 280,69 ქულაზე მეტის მოგროვება შეეძლოთ, ზოგიერთ მათგანს ხელი რომ არ მოსცარგოდა. სამწუხაროდ, ამ სპორტსმენთა მორის საერთაშორისო სარბიელზე საკმაოდ გამოცდილი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე ათლეტებიც იყვნენ.

ჩვენ ვიმსჯელეთ ხალხთა სპარტაკიადაში საქართველოს დინამოელთა გამოსვლის შედეგებზე, დავსახეთ ღონისძიებები შემჩნეული ნაკლოვანებების გამოსწორებისთვის და გადავწყვიტეთ მუშაობა ისე წარვმართოთ, რომ საბჭოთა სპორტსმენთა მომავალ ფორუმშიც კარგად გამოვიდეთ.

● როგორ გესახებათ ამ გეგმის განხორციელების გზები?

— მასობრიობა სპორტული მწვრთნელების დაპყრობის საფუძველია, ამიტომ ჩვენს მუდმივ სახრუნავს კოლექტივებში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის მასობრივი განვითარება წარმოადგენს. მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში ერთგვარი წარმატებებიც მოვიპოვეთ. მაგალითად, გეგმები შარშანაც გადაჭარბებით შეგასრულეთ: ოთხის მაგიერ ექვსი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მოგამზადეთ; 39 კაცმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, რაც რესპუბლიკურ გეგმას თორმეტით აღემატება; ერთად აღებული 502 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და პირველთანრიგოსნის მაგიერ 118 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 650 პირველთანრიგოსანი მომზადდა; სხვა თანრიგების ფიზკულტურელთა მომზადების გეგმას (15361) თითქმის 7000 კაცით გადავაჭარბეთ. რაც შეეხება მშრ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებას, ამ მხრივ, წლის დამლევს გეგმის გაზრდის მიუხედავად, თავი არ შეგვირცხვენია.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი გეგმები გაცილებით დიდია. მაგალითად, „დინამოს" ორგანიზაციებში სპარტაკიადის წინა წელს 6 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 36 სპორტის ოსტატი უნდა მომზადდეს, სადღისოდ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი უკვე შეასრულა მოჭიდავე მაღალაშვილმა, თვრამეტი კაცი კი სპორტის ოსტატი გახდა.

1974-75 წლებში დინამოელთა ინტენსიურ მუშაობას ისიც განაპირობებს, რომ მონრეალის ოლიმპიური თამაშებისთვის საბჭოთა ნაკრებს სხვადასხვა სახეობაში 23 კანდიდატი უნდა მოვუმზადოთ.

ჩვენი საზოგადოების სპორტსმენები მეცადინეობენ 134 სპეციალისტის ხელმძღვანელობით, რომელთაგანაც 21 საბჭოთა კავშირის ან საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია. მათი და ათასობით საზოგადოებრივი მწვრთნელის მონდომებული, თავდადებული მუშაობა გვაძლევს იმის გარანტიას, რომ თავს არც მომავალში შევირცხვენთ.

● რა სახეობებში უნდა მოუმზადოს საქართველოს „დინამომ" სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს კანდიდატები?

— კალათბურთში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ძიუდოში, წყალბურთში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში. რაც შეეხება საკავშირო ნაკრებს საერთოდ, კლასიკურ ჭიდაობასა და ცურვაში 9-9 კანდიდატი უნდა მივცეთ, თავისუფალ ჭიდაობაში — 7, ტყვიის სროლაში — 6, მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში — 4-4, ძიუდოში, სამბოში, ტრეკზე ველოროლასა და თანამედროვე ხუთჭიდში — 3-3, წყალში ხტომაში — 2, წყალბურთსა და მშვილდოსნობაში — თითო. ამოცანა იოლი როდია, მაგრამ მისი შესრულება შეიძლება.

● რამდენადაც ვიცით, უკვე შეარჩიეს კანდიდატები საქართველოს იმ ნაკრები გუნდებისთვის, რომლებიც საკავშირო სპარტაკიადისთვის უნდა მოემზადონ, რამდენი დინამოელია ამ სიაში?

— 141. მაგრამ ეს საბოლოო გადაწყვეტილება როდია. წლევანდელმა სტარტებმა შესაძლოა ეს ციფრი შეამციროს, თუ რესპუბლიკის სხვა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპორტსმენები დინამოელებზე უკეთეს შედეგებს მოიპოვებენ. შეიძლება პირიქითაც მოხდეს.

● რას გვეტყვით უშუალოდ VI საკავშირო სპარტაკიადისთვის მოსამზადებლად „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მიერ დასახულ ღონისძიებებზე?

— ამ ორი კვირის წინათ საბჭოს პრეზიდიუმმა საგანგებოდ იმსჯელა საქართველოს და საკავშირო სპარტაკიადებისთვის დინამოელთა მზადებაზე. შევიმუშავეთ სათანადო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ადგილებზე სპეციალისტების მივლინებას, თითოეული კანდიდატის ინდივიდუალური მზადების პროგრამის დამუშავებას, ბაზების მომზადებას, „დინამოს" ორგანიზაციებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლას. სპარტაკიადის პირველ ეტაპზე უძლიერესებისთვის სპეციალური პრიზებიც კი დავაწესეთ. რესპუბლიკური საბჭო წლეულს მესამე და მეოთხე, გაისად პირველ და მეორე კვარტალებში მოისმენს საქალაქო და საოლქო საბჭოების მიერ სპარტაკიადებისთვის მზადების პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიშს...

● რა მდგომარეობა გაქვთ სპორტული ნაგებობებისა და ბაზების მხრივ?

— ხავალალო. ამ მხრივ რესპუბლიკის დედაქალაქშიც კი ცუდადაა საქმე. „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქციის დაწყებამ ძალიან შეგვიშალა ხელი. რეკონსტრუქცია კარგია, მაგრამ მუშაობა უკვე რვა წელია ჭიანურდება და არ ვიცით, როდის დასრულდება. რეკონსტრუქციის დაწყებამდე სტადიონის მოდერნიზება და დარბაზებში საწვრთნელი მეცადინეობები ტარდებოდა სპორტის 14 სახეობაში: კალათბურთში, მძლეოსნობაში, ცურვაში, კრივში, ძალოსნობაში, ჭიდაობის ყველა სახეობაში... 1963 წლის მერე კი ქალაქის სულ სხვადასხვა კუთხეში გვიხდება ბაზების დაქირავება, რაც ყოველწლიურად დიდი თანხა გვიჯდება. ამჟამად თბილისში ჩვენს სპორტულ ბაზებს შეადგენს მხოლოდ სანაპიროზე მდებარე ჩოგბურთის კორტები, დიდმის ხაფანგულო საწვრთნელი მოედანი და დარბაზი ბესიკის ქუჩაზე. ამ დარბაზში მხოლოდ ტანვარჯიშსა და ტყვიის სროლაში შეიძლება ვარჯიში. ტირი იმდენად გადატვირთულია, რომ სპორტსმენთა მოთხოვნებს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს. მართალია, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში სტადიონები გვაქვს, მაგრამ ამ ბაზების მძლეოსნური სექტორები თანამედროვე მოთხოვნებს არ შეეფერება. ჭიერის სასროლები სათანადოდ დატვირთული არ არის, რაც ჩვენი საზოგადოების აფხაზეთის საბჭოს უყურადღებობის შედეგია. ქუთაისის „დინამოს" სტადიონთან არსებული ტირი სათანადოდ ვერ მუშაობს. იგივე მდგომარეობაა ბათუმის ტირში. ინვენტარზე მაინცდამაინც სამდერაგი არ გვეთქმის — „დინამოს" ცენტრალური საბჭო ცენტრალიზებული წესით ყველაფერს გვიგზავნის, რაც შეუძლია.

თბილისში „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქცია რომ დამთავრდება, მუშაობა სულ სხვა ხასიათს მიიღებს და რამდენიმე წელიწადში კიდევ უფრო ძლიერი მძლეოსნები, მოცურავეები, მოჭიდავეები, კალათბურთელები და ძალოსნები გვეყოლება.

● რა სახეობებში გაქვთ სპარტაკიადაში წარმატების მოპოვების იმედი ან სად უფრო მეტი მუშაობა გმართებთ?

— რესპუბლიკურ ნაკრებს ჭიდაობის თითქმის ყველა სახეობაში სათანადო შევსება უნდა მივცეთ. ცოტა სამბოში გვიჭირს, კალათბურთელთა და წყალბურთელთა გუნდები ალბათ მთლიანად დინამოელებით დაკომპლექტდება. ტანვარჯიშში ცუდად არ გვაქვს საქმე. მოცურავეთა ნაკრებში, ვფიქრობთ, ჩვენი საზოგადოების სპორტსმენი ბევრი იქნება. მძლეოსნობაში კვლავ გვაქვს ლამარა ტუღუშის იმედი. იგი ყველა წინა სპარტაკიადაში გამოდიოდა და 1971 წელს ბადროს ტყორცნაში ნინო დუმბაძის რესპუბლიკური რეკორდიც მოხსნა. გვინდა ლამარა VI სპარტაკიადაშიც გამოვიდეს. ვეტერანს შესწევს საამისო ძალა, მით უმეტეს, რომ მისი შემცვლელი ჯერჯერობით არავინ ჩანს. ანატოლი მოშიაშვილის, ვიქტორ სანეევის, ჯუმბერ ფხაკაძისა და გურამ გუდაძეულის გვერდით შედარებით ახალგაზრდა სპორტსმენებიც გამოვლენ.

გვიჭირს ტყვიისა და სასტენდო სროლაში, ველოსპორტში, ნიჩბოსნობაში. ამ სახეობებში რესპუბლიკას შედარებით ნაკლებად გამოვადგებით, თუმცა ვცდილობთ დარჩენილ დროში ეს ნაკლიც გამოვასწოროთ.

● რა დონეზეა საზოგადოებაში სპორტსმენთა შორის პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა?

— ამ წინათ გამართული „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი მთლიანად ამ საკითხს მიეძღვნა. იქ ითქვა, რომ ზოგიერთი სპორტსმენი ჯერ კიდევ არღვევს დისციპლინას. პლენუმზე სიტყვებით გამოსულნი — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინე კვთილაძე, აფხაზეთის „დინამოს" საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზენოს ტარგილი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნინო დუმბაძე და ელენე გოკიელი, „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გივი ჩოხელი, „დინამოს" წყალბურთელთა გუნდის მწვრთნელი როსტომ ჩაჩავა, აჭარის „დინამოს" საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გივი ურუშაძე, „დინამოს" კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელი ლევან მოსეშვილი, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე პეტრე ბოგდანოვი, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე და სხვები ლაპარაკობდნენ დინამოელთა ღვაწლზე საქართველოს სპორტსმენთა წარმატებებში და კიცხავდნენ მათ, ვინც ჩვენს სპორტულ ოჯახს უდისციპლინობით ჩრდილს აყენებს. პლენუმმა დაგმო ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ზოგიერთი წევრის, ტანმოვარჯიშე ნოსაძის, კალათბურთელების ვასიუტინსკისა და ქორქიას, მოცურავეების ქუთათელაძისა და ელიზბარაშვილის, ველოსიპედისტ ფხაკაძისა და სხვათა უმგვანო საქციელი, აგრეთვე. ზოგიერთი მწვრთნელის გაუმართლებელი მოქმედება. მაგალითად, აღინიშნა, რომ მწვრთნელი მაგოგა სამუშაოდ თვითნებურად წავიდა მინსკში და თან ბათუმიდან ორი მოცურავეც წაიყვანა. აღინიშნა, აგრეთვე, „დინამოს" წყალბურთელთა გუნდში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობა, სოხუმისა და ზუგდიდის ფეხბურთელთა გუნდების უდისციპლინობა.

ერთი სიტყვით, პლენუმმა სპორტსმენთა შორის იდეური და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუჯობესებისთვის სათანადო ღონისძიება დასახა, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის დინამოელთა მზადებას.

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐᲡ

კაპარჭინაზე (ფოთი) გაიმართა რესპუბლიკური საგაზაფხულო პირველობა ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში. ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა თავდაუზოგავად იმუშავა, რათა ასპარეზობა წესიერად ჩატარებულიყო და მონაწილეებს მთელი თავიანთი უნარი გამოვლინებინათ.

სპორტის ეს სახეობა რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადებში საკმარის ქულებს იძლევა, ამიტომ მისი განვითარებისთვის ბევრგან სათანადოდ ზრუნავენ და ახალგაზრდობაც დაინტერესებას იჩენს. საქართველოს სსრ კავშირის ნაკრებში ფოთელმა ვ. კრატასიუკმა ოქროს მედალი მოიპოვა.

საქართველოს ნიჩბოსნებმა საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში გუნდური III ადგილი დაისაკუთრეს: შინ ორი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი წამოიღეს. ორმა სპორტსმენმა V ადგილები მოიპოვა. ეს ცოტა როდია, თუმცა მეტიც შეიძლებოდა. რატომ ვერ გამოვიყენეთ ეს შესაძლებლობები? რესპუბლიკურმა ფედერაციამ ამის მიზეზები გულდასმით შეისწავლა, საჭირო ღონისძიებანი დასახა და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის შუხაბამისი განყოფილების აქტიური მხარდაჭერით ამ ღონისძიებათა განხორციელებაც დაიწყო.

მაგრამ საგულისხმო ჯერ კიდევ ბევრი ხელშეშლელი მიზეზი არსებობს. განსაკუთრებით აფერხებს საქმეს ინვენტარის უკმარობა. როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ნ. რაზმაძემ გვითხრა, თბილისსა და რუსთავს საკმარისი ნავები და ნიჩბები არა აქვს. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში არც ნიჩბოსნობის სხვა ცეხტრებია უზრუნველყოფილი.

რაზმაძეს არც ის დაუმალავს, რომ, რესპუბლიკაში ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ზოგიერთი ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, სპორტასოციაციები თუ უწყება ჯგუფებში ახალგაზრდობის ჩაბმისთვის და მათთან ინტენსიური საწვრთნელი მუშაობისთვის ნაკლებად ზრუნავს.

ეს ფოთის ამასწინანდელმა სტარტებმაც დაადასტურა. ყოველი კოლექტივი 18 სპორტსმენით უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული, რათა პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში ეასპარეზა, ქუთაისსა და ფოთის გუნდებში კი მხოლოდ 8-8 ვეკრი იყო. ამიტომაც ოთხადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში ქალთა ოთხი გუნდი ჩავბა, 4×500 მეტრზე ესტაფეტაში — ხუთი. ოთხი ეკიპაჟი მონაწილეობდა ოთხადგილიანი ბაიდარებით 10000 მეტრზე შეჯიბრებაში. აფხაზეთისა და აჭარის ნაკრები კოლექტივები საასპარეზოდ მთლიანი შემადგენლობით ჩამოვიდნენ, მაგრამ გუნდების წევრთა უმეტესობას შეადგენდნენ „მოხუცები", ვეტერანები, რომლებსაც, რა დასამალია, ძველებურად ბრძოლის უნარი აღარ შესწევთ.

ვაჟთა შორის ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში სოხუმელმა კ. კარახანმა 500 მეტრის გავლას 2.17,0 მოანდომა და გამარჯვებულ ა. გრაბკოსთან (თბილისი) 17,5 წამი წაგო. სოხუმელთა დუეტს ორადგილიანებით ამავე დისტანციაზე ასპარეზობაში ფინიშთან მისვლისთვის გამარჯვებულზე 30,8 წამით მეტი დასჭირდა. კანოეებით 500 მეტრზე შეჯიბრებაში თბილისელმა მ. კლეიმანმა 2.07,0 აჩვენა, ბოლო ადგილზე გასულმა სოხუმელმა ე. ბროზგვლემა — 3.29,0. 1000 მეტრზე სოხუმელი დ. ფიოდოროვი მცხეთელ ს. როსტიაშვილს 1 წუთითა და 28 წამით ჩამორჩა.

შეჯიბრების მესვეურებმა მოზარდები საასპარეზოდ არ დაუშვეს. ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო მოზრდილ ნიჩბოსნებთან მუშაობის შემოწმება. ორგანიზაციები ნიჩბოსანთა ჯგუფების დაკომპლექტებასა და წვრთნის საკითხს სათანადო კონტროლს ჯერ კიდევ ვერ უწევენ. ამ ასპარეზობაში ყველა I ადგილი იმ სპორტსმენებმა დაიკავეს, რომლებიც საქართველოს ნაკრებში არიან და ინტენსიურადაც ვარჯიშობენ.

ტექნიკური შედეგები სახარბიელო როდი იყო. ეს უამინდობის ბრალიცაა, თუმცა ზოგიერთი ნიჩბოსნის ტექნიკური მომზადებაც მეტისმეტად დაბალ დონეზე იდგა. საგაზაფხულო სტარტზე სპორტსმენებს, რა თქმა უნდა, ბევრს ვერ მოვთხოვთ, მაგრამ ვერც აშკარა სარვეველებს ავუვლით გვერდს. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა, სპორტასაზოგადოებებმა და უწყებებმა უნდა იზრუნონ შენიშნულ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორებისთვის.

Ჯ. ᲥᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
(ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.).

ფოთი.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ. 500 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი. ნ. ვალეშნაია (აჭარა) — 2.18,6, ა. სულკიკაია (რუსთავი) — 2.22,0, ლ. ვდოვეხკო (აფხაზეთი)—2.28,0. **ორადგილიანი.** მცხეთა (თ. თედიაშვილი, ლ. მაიდანეკი) — 2.12,6, აჭარა — 2.22,1, თბილისი — 2.23,2. **ოთხადგილიანი.** მცხეთა (თედიაშვილი, მაიდანეკი, მ. გრძელაშვილი, ლ. ჯანანაშვილი) — 2.06,0, თბილისი — 2.07,1, აჭარა — 2.08,7. **ესტაფეტა 4×500 მ.** მცხეთა (თედიაშვილი, ჯანანაშვილი, გრძელაშვილი, მაიდანეკი) — 10.31,5, აჭარა — 10.51,8, აფხაზეთი — 11 წუთი.

ᲕᲐᲟᲗᲔᲑᲘ. 500 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი. ა. გრაბკო (თბილისი) — 1.59,5, ი. ქავქავაძე (მცხეთა) — 2.03,6, თ. ბერიძე (აჭარა) — 2.04,0. **ორადგილიანი.** აჭარა (დ. ვერენდი, ა. მაზმანოვი)—1.59,2, მცხეთა — 1.59,6, თბილისი — 2.04,0. **ესტაფეტა 4×500 მ.** აჭარა (ვ. ვიშნიაკოვი, ზ. ეგუტიძე, მაზმანოვი, ვერენდი) — 8.34,9, მცხეთა — 8.43,2, თბილისი — 8.43,6. **1000 მ. ერთადგილიანი.** გრაბკო — 4.08,5, ა. სკოტარენკო (რუსთავი) — 4.14,0, ვიშნიაკოვი (აჭარა) — 4.15,0. **ორადგილიანი.** აჭარა (ეგუტიძე, ვ. ვედიაშკინი) — 4.18,6, თბილისი — 4.24,9, ქუთაისი—4.30,9. **ოთხადგილიანი.** რუსთავი (ვ. მარკატენი, ა. ბარკუშინი, ვ. ივანოვი, ა. პონომარენკო) — 3.34,0, თბილისი — 3.36,0, აჭარა — 3.46,7. **10000 მ. ერთადგილიანი.** სკოტარენკო — 46.04,0, ვიშნიაკოვი — 46.16,0, ვ. გრიგორიევი (თბილისი) — 46.31,3. **ორადგილიანი.** ფოთი (პ. ზაბოლოტსკი, გ. ლაგვილავა) — 42.14,0, მცხეთა — 44.27,3, რუსთავი — 46.12,3. **ოთხადგილიანი.** რუსთავი (მერკატენი, ვ. კურსინი, პონომარენკო, ივანოვი) — 39.06,0, თბილისი — 39.14,0, მცხეთა — 41.15,2. **კანოე. 500 მ. ერთადგილიანი.** მ. კლეიმენი (თბილისი) — 2.07,0, ს. როსტიაშვილი (მცხეთა)—2.11,0, ზ. დათიაშვილი (ქუთაისი) — 2.13,0. **ორადგილიანი.** თბილისი (გ. შახნაზარიანი, კლეიმანი) — 1.57,0, ფოთი — 2.02,0, აჭარა — 2.02,2. **1000 მ. ერთადგილიანი.** როსტიაშვილი — 4.27,0, დათიაშვილი — 5.04,0, რ. მიქაძე (ფოთი) — 5.04,2. **ორადგილიანი.** რუსთავი (ს. დოლდირინი, ვ. ნიკოლაევი) — 4.09,8, აჭარა — 4.12,8, მცხეთა — 4.24,0. **10000 მ. ერთადგილიანი.** შახნაზარიანი (თბილისი)—49.31,5, თ. არეშვილი (მცხეთა) — 52.21,0, თ. სვიმონიშვილი (რუსთავი) — 53.32,0. **ორადგილიანი.** რუსთავი (დოლდირინი, ნიკოლაევი) — 47.21,5, მცხეთა — 49.31,4, აჭარა — 54.10,0. **ესტაფეტა 4×500 მ.** თბილისი (შახნაზარიანი, კლეიმანი, მ. ჩაზმავა, გ. უაზარიანი) — 9.13,2, რუსთავი — 9.27,6, აფხაზეთი — 10.50,0.

ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ: თბილისი — 104 ქულა, მცხეთა — 103, აჭარა — 101, რუსთავი — 87, სოხუმი — 51, ფოთი — 34, ქუთაისი — 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუმერანგი...

თბილისს „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 4:0.

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 მაისისთვის

„ნეფთჩი“ (ბაქო)	6	5	1	0	8—1	—	11
„ანჟ“ (დონის როსტოვი)	5	4	1	0	11—2	4—4	9
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	6	4	0	2	8—4	—	8
„დინამო“ (მინსკი)	6	4	0	2	10—7	—	8
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	6	3	2	1	6—3	6—6	8
„ტორპედო“ (ქუთაისი)	6	3	1	2	7—4	—	7
„ზვეზდა“ (პერმი)	6	3	1	2	8—8	—	7
„კუზბასი“ (კემეროვო)	6	3	1	2	7—8	—	7
„ტავრია“ (სიმფეროპოლი)	5	2	2	1	7—3	3—3	6
„შინიკი“ (იაროსლავლი)	6	2	2	2	6—7	2—2	6
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	5	2	1	2	3—3	4—4	5
„ხეროტელი“ (აშხაბადი)	6	2	1	3	6—7	3—3	5
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	5	2	0	3	9—12	—	4
„პამირი“ (დუშანბე)	6	1	2	3	6—10	2—2	4
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	6	1	2	3	4—9	—	4
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	5	1	1	3	6—8	—	3
„ყუბანი“ (კრასნოდარი)	5	1	1	3	6—9	—	3
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	5	0	3	2	3—6	3—3	3
„სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი)	5	0	2	3	2—5	3—3	2
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	6	0	2	4	5—12	—	2

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 მაისისთვის

„დინამო“ (ვოლოგდა)	6	5	1	0	8—2	—	11
„ურალანი“ (ელისტა)	6	4	1	1	6—2	4—4	9
„დინამო“ (კიროვაბადი)	5	4	0	1	9—2	—	8
„ხიმიკი“ (ძერჟინსკი)	6	3	2	1	8—4	2—2	8
„ტორპედო“ (ვლადიმირი)	6	4	0	2	8—4	—	8
„ისკრა“ (სმოლენსკი)	6	3	1	2	8—5	—	7
„დინამო“ (ბათუმი)	5	3	1	1	7—4	—	7
„დინამო“ (სტავროპოლი)	6	2	3	1	8—6	—	7
„ბურია“ (ლენინაკანი)	6	1	4	1	4—3	6—6	6
„კალიტვა“ (ბელაია კალიტვა)	6	3	0	3	8—8	—	6
„ლორი“ (კიროვაკანი)	6	2	2	2	5—5	2—2	6
„კოლხეთი“ (ფოთი)	6	2	2	2	3—4	2—2	6
„ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი)	6	2	1	3	3—7	2—2	5
„შირაკი“ (ლენინაკანი)	4	1	1	2	5—5	—	3
„მერცხალი“ (მახარაძე)	5	1	1	3	2—5	4—4	3
„დინამო“ (ბრიანსკი)	6	1	1	4	4—8	—	3
„დინამო“ (ზუგდიდი)	6	1	1	4	3—7	—	3
„დილა“ (გორი)	5	1	1	3	3—8	—	3
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	5	0	2	3	2—8	4—4	2
„ფოლადი“ (სუმგაითი)	5	0	1	4	0—7	2—2	1

11 მაისს მოსკოვში

საინტერესო მატჩი შედგება: ერთმანეთს შეხვდება I ლიგის გუნდების საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელთაგან დაკომპლექტებული ორი ნაკრები.

ამ მატჩში მონაწილეობისთვის მიწვეული არიან ქუთაისის „ტორპედოს“ მოთამაშეები გ. გაბიჩვაძე და რ. ფესტვენიძე.

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ბ.-11	ქ.
„ნეფთჩი“ (ბაქო)	6	5	1	0	8—1	—	11
„ანჟ“ (დონის როსტოვი)	5	4	1	0	11—2	4—4	9
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	6	4	0	2	8—4	—	8
„დინამო“ (მინსკი)	6	4	0	2	10—7	—	8
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	6	3	2	1	6—3	6—6	8
„ტორპედო“ (ქუთაისი)	6	3	1	2	7—4	—	7
„ზვეზდა“ (პერმი)	6	3	1	2	8—8	—	7
„კუზბასი“ (კემეროვო)	6	3	1	2	7—8	—	7
„ტავრია“ (სიმფეროპოლი)	5	2	2	1	7—3	3—3	6
„შინიკი“ (იაროსლავლი)	6	2	2	2	6—7	2—2	6
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	5	2	1	2	3—3	4—4	5
„ხეროტელი“ (აშხაბადი)	6	2	1	3	6—7	3—3	5
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	5	2	0	3	9—12	—	4
„პამირი“ (დუშანბე)	6	1	2	3	6—10	2—2	4
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	6	1	2	3	4—9	—	4
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	5	1	1	3	6—8	—	3
„ყუბანი“ (კრასნოდარი)	5	1	1	3	6—9	—	3
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	5	0	3	2	3—6	3—3	3
„სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი)	5	0	2	3	2—5	3—3	2
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	6	0	2	4	5—12	—	2

II ლიგა

III ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ბ.-11	ქ.
„დინამო“ (ვოლოგდა)	6	5	1	0	8—2	—	11
„ურალანი“ (ელისტა)	6	4	1	1	6—2	4—4	9
„დინამო“ (კიროვაბადი)	5	4	0	1	9—2	—	8
„ხიმიკი“ (ძერჟინსკი)	6	3	2	1	8—4	2—2	8
„ტორპედო“ (ვლადიმირი)	6	4	0	2	8—4	—	8
„ისკრა“ (სმოლენსკი)	6	3	1	2	8—5	—	7
„დინამო“ (ბათუმი)	5	3	1	1	7—4	—	7
„დინამო“ (სტავროპოლი)	6	2	3	1	8—6	—	7
„ბურია“ (ლენინაკანი)	6	1	4	1	4—3	6—6	6
„კალიტვა“ (ბელაია კალიტვა)	6	3	0	3	8—8	—	6
„ლორი“ (კიროვაკანი)	6	2	2	2	5—5	2—2	6
„კოლხეთი“ (ფოთი)	6	2	2	2	3—4	2—2	6
„ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი)	6	2	1	3	3—7	2—2	5
„შირაკი“ (ლენინაკანი)	4	1	1	2	5—5	—	3
„მერცხალი“ (მახარაძე)	5	1	1	3	2—5	4—4	3
„დინამო“ (ბრიანსკი)	6	1	1	4	4—8	—	3
„დინამო“ (ზუგდიდი)	6	1	1	4	3—7	—	3
„დილა“ (გორი)	5	1	1	3	3—8	—	3
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	5	0	2	3	2—8	4—4	2
„ფოლადი“ (სუმგაითი)	5	0	1	4	0—7	2—2	1

II ზონა

ხის დამუშავებული კომბინატი (სამტრედია) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2:2, „კომეურნე“ (წულუკიძე) — „კომეურნე“ (გულრიფში) 2:0, „განთიადი“ (აბაშა) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 0:2, „მზიური“ (გალი) — „გიგანტი“ (ლაიფური) 0:0.

ლანჩხუთის „კომეურნე“ კალენდარულ მატჩზე გამოუცხადებლობისთვის მოხსნილია გათამაშებიდან და მისი შედეგები გაუქმებულია.

ჟ. მ. დიასამიძე

მან უხმოდ დატოვა პოსტი, როგორც ჯარიანკაცმა, და თან გაიყოლა უამრავი თანამოაზრის გულისტკივილი. ასე მიდის წუთისოფლიდან ადამიანი, რომლის მთელი ცხოვრება ერთი ნათელი მიზნის ამსახურშია გამოხატული.

შალვა დიასამიძე თავისებური ეპოქაა ჩვენს სპორტში, ქართულ კალათბურთში. მან თავისი ცხოვრება საყვარელი სპორტის უანგარო სიყვარულს შეალია. ასეთი ადამიანები ყველაფერს სწირავენ საქმეს, სამაგიეროდ კი არაფერს მოითხოვენ.

... მისი უკანასკნელი დღე ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩვეულებრივად დაიწყო. მსგავსი დღე შალვა დიასამიძის ცხოვრებაში ათასობით, ათეულ ათასობით უოფილა. იმ საბედისწერო დღეს, სულ ორიოდე საათის შემდეგ შალვას დიდი ცხოვრების საგზური უნდა მიეცა ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის. ჩვეულებრივი დღე კი იყო, მაგრამ გამოცდილი პედაგოგი რატომღაც მუდამ ღელავდა, როცა სტუდენტები ჰყავდა გამოსაცდელი.

ესეც შალვა დიასამიძის ხასიათია, ადამიანისა, რომლისთვისაც ახალგაზრდა თაობის აღზრდა ყველაზე წმიდა და პასუხსაგებ საქმედ იყო მიჩნეული. განსვენებულმა იცოდა თქმა: თუ შენი ერი გიყვარს, არასდროს არ უნდა გამოიჩინო უყურადღებობა მის მომართო. უყურადღებაში იგი გულისხმობდა სიმკაცრეს, მომთხოვნელობას, პრინციპულობას.

ამ გზით წარმართა მან მთელი თავისი ცხოვრება და ასეთად დარჩება ბოლომდე ჩვენს მეხსიერებაში.

მას ორი თვის შემდეგ 62 წელი შეუსრულდებოდა. 44 წელი მან სპორტს შესწირა, საყვარელი კალათბურთის სამსახურს. ამ ხნის მანძილზე იგი თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელიც იყო, შემდეგ — ამ კათედრის ხელმძღვანელიც, ზრდიდა კალათბურთის ახალგაზრდა სპეციალისტებს ფიზკულტურის ინსტიტუტში, ხელმძღვანელობდა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა სახელოვან კოლექტივს მისი ბრწყინვალე გაშარჯვებების ჟამს, რაც მთავარია, დიდი კალათბურთის საგზურს აძლევდა ასობით, ათასობით სწავლასა და სპორტს მოწყურებულ ახალგაზრდას.

შალვა დიასამიძის ყველა დამსახურების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ეს არცაა საჭირო ადამიანისთვის, რომელმაც არ იცოდა, რა იყო ანგარება. იქნებ ამიტომაც, ბოლო წლებში გავრცელდა აზრი, თითქოს შალვა ჩამოსცილდა აქტიურ კალათბურთსო. მტკნარი ხიცრუეა. შალვა დიასამიძე მხოლოდ და მხოლოდ კალათბურთით ცხოვრობდა, ოღონდ, ბევრისგან განსხვავებით, თავის ყოველდღიურ საქმიანობას საზოგადოებრივ ინტერესებს, ეროვნულ ინტერესებს უქვემდებარებდა.

იგი სპეციალობით გეოლოგი იყო, მიწის წიაღის სიმდიდრეთა მაძიებელი. მაგრამ ახალგაზრდობაშივე უღალატა თავის მოწოდებას და სიმდიდრის ძებნას დედამიწის ზედაპირზე შეუდგა. იგი ბედნიერია იმით, რომ ამ ქვეყნად კვალი დატოვა, ღრმა და წარუშლელი კვალი. იგი ბედნიერია იმითაც, რომ ახალგაზრდა სპორტსმენთა შრავალ თაობას ასწავლა პატიოსანი და პრინციპული შრომის სიყვარული. მან იპოვა ყველაფერი, რასაც ეძებდა და პირნათლად მოიხადა ვალი თავისი ერის წინაშე. მაგრამ ასე ნაადრევად მაინც არ უნდა დაეტოვებინა პოსტი, ვინაიდან აღსავსე იყო ენერგიითა და გეგმებით.

* * *

შალვა მიხეილის ძე დიასამიძე დაიბადა 1912 წლის 10 ივლისს. 1938 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი გეოლოგიის სპეციალობით. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1926 წლიდან, ოთხი წლის შემდეგ კი აქტიურ ფიზკულტურულ საქმიანობაში ჩაება. აღზარდა ბევრი მოწინავე კალათბურთელი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი.

1933 წლიდან მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრაზე ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ — ამავე კათედრის გამგედ.

1952 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული თამაშების კათედრის უფროსი მასწავლებელი იყო.

შ. დიასამიძემ საბჭოთა ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველმა მიიღო სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. იგი საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელიც იყო.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი;
კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაცია.

მეგობრის ხსოვნას

კიდევ ერთი ახლობელი დავკარგეთ! სულ ახლახან, სულ რამდენიმე დღის წინათ მე და შალვა დიასამიძე ჩვენი ანდროს პანაშვიდებზე ვხვდებოდით ერმანეთს.

შალვამ ღრმად განიცადა ეს უბედურება. სხვაგვარად განცდა მას არ შეეძლო. ასე გაატარა მთელი თავისი წუთისოფელი. დიდი საწყენი კი არა, სულ პატარა მიზეზიც გულის სიღრმემდე შეძრავდა, ააოელვებდა, ააობობჟრებდა. ასეთი მიზეზები კი არასდროს მოჰკლებია ცხოვრებისეგან. მარტოოდენ ნერვები იყო, მისი მოუსვენარი გული, მისი მშფოთვარე სული ჭეშმარიტად გაუნელებელი ცეცხლით იწვოდა.

განა რა ულევი ძალის მარაგი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ასე დაუზოგავად, ასე დაუფიქრებლად ხარჯოს? ის კი ამ ძალას მარტო თავის უპირველეს სიყვარულს — მარტო კალათბურთს რიდი ასმარდა, სიყვარულს, რომლის ერთგულებაც ადრეული სიყრმიდან, ბავშვობის წლებიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე შეინარჩუნა, არა, მისი ყურადღება, მისი მგზნებარება თითქმის ყველაფერს სწვდებოდა.

ესაა მისი პარადოქსული ხასიათის უპირველესი თავისებურება. იგი, კალათბურთის ტრფიალი და რაინდი, რაღაც აუხსნელი, სხვისთვის მიუწვდომელი გზებით ახერხებდა, რომ ეს დიდი ტრფიალი, რომელსაც ყოველივე დანარჩენის მიმართ თითქოს მხოლოდ გულგრილობა უნდა გამოეწვია, შეეთანხმებინა ცხოვრების ყველა მოვლენის მწვავედ, მძაფრად აღქმასთან. არ ვიცი, როგორ ახერხებდა ამას, ეს თავისი საიდუმლო მან საფლავში ჩაიტანა.

შალვა თავისებურად, დიასამიძისებურად, საოცრად ემოციურად, თუ შეიძლება ითქვას, მასშტაბურად განიცდიდა მშობლიური კალათბურთის ბედსაც, მთლიანად რესპუბლიკური სპორტის ავ-კარგსაც, თავისი გაზრდილი ბავშვებისა და ჭაბუკების ცხოვრების ამბებსაც, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და თავისი კათედრის ყველა საჭირბოროტო საკითხსაც, თავისი ხალხის ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან მოვლენასაც.

ანდრო ჟორდანიას სიკვდილი მისთვის მძიმე განცდების ახალი წყარო იყო. ამ განცდებს საფუძველი ჰქონდა. ეს გამოწვეული იყო არა მარტო უბრალო მადლიერების გრძნობით იმ კაცის მიმართ, ვინც ძალიან ბევრი რამ გააკეთა ქართული ფეხბურთისა და ქართველი საზოგადოებრიობისთვის. შალვა მართებულად ფიქრობდა, რომ ანდრო ჟორდანია, რომელიც თავისი ცხოვრების ბოლო წლებში თითქოს განდეგილივით ცხოვრობდა, მაინც ქართული ფეხბურთის ერთგული ჯარისკაცი იყო.

შალვა დიასამიძე ბრძენი კაცი იყო, თუმცა თავისი მგზნებარე ბუნებით ზოგჯერ თითქოს ეწინააღმდეგებოდა კიდეც ამ შეხედულებას. უეცარი აფეთქება იცოდა სულ პატარა რამეზე. ამ აფეთქების დროს, თანდაყოლილი დელიკატობისა და სიკეთის მიუხედავად, ცხელ გულზე შეეძლო მწარე სიტყვაც ეთქვა ვინმესთვის. მაგრამ მაინც დიდ პატივს სცემდნენ, მაინც ძალიან უყვარდათ, განსაკუთრებით მის მრავალრიცხოვან მოწაფეებს. ეს იმიტომ, რომ ყველაფერს მისი დიდი, უანგარო სიყვარული ედო საფუძვლად.

შალვას არ დარჩენია დიდი მეცნიერული გამოკვლევები. არც საპატიო წოდებებით იყო მაინცდამაინც დატვირთული. მაგრამ იგი ყოველდღიურად მრავალი წლის მანძილზე გადასცემდა, ასწავლიდა, უნერგავდა კალათბურთის მისეულ, განსაკუთრებულ ჯაგებს და ჯეთილ საწყისებს თავის გაზრდილ უამრავ სპორტსმენს.

შალვასგან დიდად დავალებულია თბილისის „დინამო“, რომელსაც იგი წვრთნიდა. მისგან დავალებული არიან დღევანდელი პატარა ბიჭებიც — კალათბურთის მომავალი ოსტატები, მისგან დავალებულია საქართველოს გამოჩენილ კალათბურთელთა რამდენიმე თაობა. მისი რჩევა-დარიგება მუდამ განსაკუთრებით ფასობდა, რადგან საქართველოში არავინ იყო მასზე მცოდნე, მასზე ბრძენი და ავტორიტეტული ყველაფერში, რაც კალათბურთს შეეხებოდა.

ვლადიმერ ვდივანი.

ფინალი და ორი გაძევებული ფეხბურთელი

საინტერესოდ ჩატარდა აბაშის დედაქალაქის თასის გათამაშება ფიზიკური კულტურის კოლექტივებს შორის. შეჯიბრებაში 16 საწარმო-დაწესებულების გუნდები მონაწილეობდნენ.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მანქანათსაშენებელი ქარხნისა და მე-5 სამშენებლო ტრესტის გუნდებმა. თამაში „დინამოს“ სტადიონზე შედგა და დამთავრდა მანქანათსაშენებელი ქარხნის გუნდის (საზოგადოებრივი მწვრთნელი გ. ქუთელია) გამარჯვებით — 2:1. მას გადაეცა თასი.

უყურადღებოდ არ შეიძლება დარჩეს ის ფაქტი, რომელიც ფინალურ მატჩში მოხდა. წესრიგის დარღვევისთვის მინდვრიდან გაიძევეს ორივე გუნდის მოთამაშეები ლ. გუჯაბიძე და დ. დოლიძე.

ო. ბურკანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

საქართველოს ჭიდაობა

მეორე ჯგუფი

I ზონა

„სამცხე“ (აწყური) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:4, „შესხეთი“ (ახალციხე) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1, „განახლება“ (ადიგენი) — „ჭერეთი“ (ლაგოდეხი) 3:3, „დურუჯი“ (ყვარელი) — „განთიადი“ (კასპი) 3:0, „კოლმეურნე“ (ბორჯომი) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:1, „რუბეროიდი“ (გარდაბანი) — „ყინწვისი“ (ქარელი) 1:1.

შურისძიება

ჩვენი გაზეთი უკვე წერდა, რომ უმდიდრესი ტრადიციების მქონე გუნდს „მანჩესტერ იუნაიტედს“ I ლიგის დატოვების საფრთხე ემუქრებოდა. ასეც მოხდა. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ყოფილი მფლობელი და ინგლისის მრავალგზის ჩემპიონი II ლიგაში გადავიდა. მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ გოლი, რომელმაც „მანჩესტერს“ I ლიგაში დარჩენის ყოველგვარი იმედი მოუსპო, მის კარში გაიტანა ამავე გუნდის ყოფილმა მოთამაშემ დენის ლოუმ. ალბათ გახსოვთ, რომ შარშან ზაფხულში გუნდის მწვრთნელმა ტომი დოჰერთიმ ლოუ „ბებრად“ ჩათვალა და მისი გვარი „ტრანსფერ ლისტში“ (გასაყიდ მოთამაშეთა სიაში) შეიტანა. იგი „მანჩესტერ სიტიმ“ იყიდა. „ბებერმა“ ლოუმ სწორედ ამის შემდეგ, თითქოს დოჰერთის ჯიბრზე, დაიწყო კარგად თამაში. შოტლანდიის ნაკრებს უიმისოდ უკვე ვერც წარმოუდგენია მინდორზე გამოსვლა. იგი „მანჩესტერ სიტის“ ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეცაა. „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „მანჩესტერ სიტის“ შეხვედრის 82-ე წუთზე „იუნაიტედის“ კარში გატანილი გოლით ლოუმ თითქოს შური იძია დოჰერთიზე.

მატჩის შემდეგ ვეტერანმა თქვა: „ძალიან დამწყდა გული, რომ „მანჩესტერმა“ პირველი ლიგა დატოვა“.

კლუბის დირექტორ მატ ბასბის აზრით, მენეჯერად მაინც დოჰერთი უნდა დარჩეს. ეს უკანასკნელი ამბობს: „გული მტკივა, რომ მე ვარ ის კაცი, ვის ხელშიც „იუნაიტედმა“ ასეთი მარცხი იწვნია. შევრცხვი არა მარტო საკუთარი თავის, არამედ დირექტორატისა და გულშემატკივრების წინაშეც. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში კარგად ვითამაშეთ და პირველ ლიგას დავუბრუნდებით“.

(საკ. ინფ.).



ფოტო-ნაზტოლი

ეს ფოტოსურათი ინგლისის ჩემპიონატის ამასწინანდელი მატჩის დროსაა გადაღებული. ლონდონში, „ეპტონ პარკის“ სტადიონზე ადგილობრივი „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ შეხვდა თასისა და ვერცხლის მედლის მფლობელს „ლივერპულს“. მატჩი ფრედ (2:2) დამთავრდა. სტუმრებმა ორჯერ გაათანაბრეს ანგარიში. ერთ-ერთ ასეთ მომენტს სურათზე ხედავთ. „ვესტ ჰემის“ მეკარემ მერვინ დეიმ ვერ აიღო ჯონ ტოშაკის მიერ დარტყმული ბურთი, თუმცა მანამდე ალეკ ლინდსეის პენალტი მოიგერია.

დანარჩენი გოლები გაიტანეს ფრენკ ლემპარდმა, ტრევორ ბრუკინგმა (ორივე — „ვესტ ჰემი“) და კევინ კიგანმა.

ბ. მანტლის (ლონდონი) ფოტო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

• КОРАНА • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

ჩემპიონატები, ბურთები, ციფრები

ინგლისი

ქვეყნის ჩემპიონობა „ლიდს იუნაიტედმა“ მოიპოვა. ამ გუნდის წარმატება შემთხვევითად არ მოგვეჩვენება, თუ გადავხედავთ მის მიღწევებს ბოლო 10 წლის მანძილზე. 1964 წელს „ლიდს იუნაიტედი“ II ლიგის ჩემპიონი იყო. 1965 წელს მან I ლიგაში II ადგილი დაიკავა და ინგლისის თასის გათამაშების ფინალში გავიდა. 1966 წელს ლიდსელებმა კვლავ II ადგილი დაიკავეს. 1967 წელს მათ ბაზრობათა თასის გათამაშების ფინალამდე მიაღწიეს. 1968 წელს მოიპოვეს ინგლისის ლიგისა და ბაზრობათა თასები. 1969 წელს „ლიდს იუნაიტედი“ ქვეყნის ჩემპიონი გახდა, 1970 წელს კი თასის გათამაშების ფინალში გავიდა და ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა. 1971 წელს გუნდმა ბაზრობათა თასი მოიპოვა და ინგლისის ჩემპიონატში II ადგილზე გავიდა. 1972 წელს ლიდსელებმა დაისაკუთრეს ინგლისის თასი და ჩემპიონატში კვლავ II ადგილი ხვდათ. 1973 წელს „ლიდს იუნაიტედმა“ ჩემპიონატში III ადგილი დაიკავა, ფინალში გავიდა ინგლისის თასის გათამაშებაშიც და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასისთვის ასპარეზობაშიც. წლეულს კი ამ გუნდმა, როგორც ვთქვით, ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა.

1962 წლიდან „ლიდს იუნაიტედს“ გამოცდილი სპეციალისტი დონ რევი წვრთნის. კარს იცავს ჯარვი. მცველთა შორის გამოირჩევიან მეიდლი და კუპერი. ნახევარდაცვაში საუკეთესოა შოტლანდიელი ბრემნერი. თავდასხმაში „ლიდს იუნაიტედს“ ვარსკვლავები არ აკლია. ესენი არიან: შოტლანდიელი ლორიმერი, კლარკი, ირლანდიელი ჯაილსი და ჯორდანი.

II ლიგაში გადავიდნენ „ნორვიჩ სიტი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „საუთჰემპტონი“. გაისად მათს ადგილებს დაიკავებენ „მიდლსბრო“, „ლუტონ თაუნი“ და „კარლაილ იუნაიტედი“ ან „ლეიტონ ორიენტი“.

პირველი ხუთეული ასეთია:

	თ.	ბ.	ქ.
„ლიდს იუნაიტედი“	42	66:31	62
„ლივერპული“	41	51:30	56
„დერბი ქაუნთი“	42	52:42	48
„იფსვიჩ თაუნი“	42	67:58	47
„ბერნლი“	42	56:53	46

შოტლანდია

მართალია, ჩემპიონატის ფინიშამდე კიდევ 2 ტური დარჩა, მაგრამ სურათი უკვე ნათელია: გლაზგოს „სელტიკმა“ „დუნდი“ გააკეთა. გამოცდილ მწვრთნელის ჯოკ სტაინის ხელმძღვანელობით „სელტიკი“ შოტლანდიური ფეხბურთის სინონიმად იქცა. კარს იცავს კოლაგანი. დაცვაში თამაშობენ მაკგრეინი, ბროგანი, მაკნეილი და ჰეი. ნახევარდაცვაში სტაბილურად გამოდიან მაკკლასკი და მიურეი. თავდასხმაში გამოცდილ ვეტერანებს ჯონსტონს, ლენოქსსა და ჰუდს მხარს უმშვენებენ ახალგაზრდები დალგლიში და დინსი.

ლიდერთა სამეული:

„სელტიკი“	30	75:25	48
„გლაზგო რეინჯერსი“	32	63:31	45
„ჰიბერნიენი“ (ედინბურგი)	30	64:39	40

გფრ

XXXII ტურში მიუნპენის „ბაიერნმა“ სტუმრად ანგარიშით 5:0 მოუგო „ჰამბურგერ შპორტფერაინს“. გოლები გაიტანეს შვარცენბეკმა, ბრაიტნერმა (3) და ჰეინესმა.

დიუსელდორფის „ფორტუნამ“ ასევე სტუმრად დაამარცხა „ჰანოვერ 96“ — 1:0. „ჰანოვერ 96“ უმაღლეს ლიგას ტოვებს.

„ბაიერნის“ მეტოქემ ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში — მენჰენგლადბახის „ბორუსიამ“ შინ მოუგო ოფენბახის „კიკერსს“ — 5:1.

დარჩა მხოლოდ 2 ტური.

ლიდერთა სამეული:

„ბაიერნი“	32	94:48	47
„ბორუსია“	32	88:51	46
„ფორტუნა“	32	58:44	39

ჰოლანდია

XXXII ტურში ამსტერდამის „აიაქსი“ კვლავ დამარცხდა, ამჯერად ჩემპიონს ველზენში მოუგო ადგილობრივმა „ტელსტარმა“ — 2:1. როტერდამის „ფეიენორდმა“ სტუმრად სძლია (2:0) „ნიმეგენს“, ხოლო ენსხედეს „ტვენტემ“ თავის მინდორზე დაამარცხა „ბრედა“ — 5:2.

ბოლოსწინა ტურში „ფეიენორდმა“ სძლია „ტვენტეს“ (3:2), 56 ქულა დააგროვა და ჩემპიონიც გახდა, ვინაიდან ვეღარავინ დაეწევა.

იტალია

რომის „ლაციომ“ შინ აჯობა „გენუას“ — 1:0. ტურინის „იუვენტუსმა“ მილანში მოუგო ადგილობრივ „ინტერნაციონალეს“ — 2:0.

ფინიშამდე 3 ტური დარჩა.

„ლაციო“	27	41:19	40
„იუვენტუსი“	27	42:22	37
„ნაპოლი“	27	30:24	32
„ფიორენტინა“	27	30:22	31
„ინტერნაციონალე“	27	41:30	30

ესპანეთი

XXXII ტურში მადრიდის „ატლეტიკომ“ მოუგო ახალ ჩემპიონს — „ბარსელონას“ — 2:0. ბარსელონაში ადგილობრივმა „ესპანიოლმა“ ანგარიშით 1:0 სძლია მადრიდის „რეალს“, რომელიც IX ადგილზეა.

„ბარსელონა“	32	74:23	48
„ატლეტიკო“ (მად.)	32	47:30	38
„რეალ სარაგოსა“	32	48:37	37

ბელგია

ჩემპიონის წოდება მეთექვსმეტედ მოიხვეჭა ბრიუსელის „ანდერლექტმა“.

იუგოსლავია

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ შინ მოუგო ზენიჩარის „ჩელიკს“ — 2:1.

„ცრვენა ზვეზდა“	30	63:40	37
„ველეჟი“ (მოსტარი)	30	46:33	37
„ჩელიკი“ (ზენიჩარი)	30	42:24	6

უნგრეთი

25 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

„დოჟა უიპეშტი“	25	59:28	35
„ფერენცვაროში“	25	46:24	32
„ბანიასი“	25	32:30	32

პოლონეთი

ლიდერთა სამეული 23 ტურის შემდეგ:

„რუხი“ (ხოჟუვი)	22	43:13	33
„ლეგია“ (ვარშავა)	23	32:18	29
„გურნიკი“ (ზაბჟე)	23	34:22	28

(საკ. ინფ.).

უფლავათო ბრძოლაში

საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. IX ტური. ა. ტუზოვსკი (ხოხუმი) — ე. მიქაელიანი 0,5:0,5, მ. ჭიპაშვილი (ორივე — თბილისი) — ლ. ნეურონოვი (ბათუმი) 0,5:0,5, ა. ბუსლაევი — გ. კალატოზიშვილი 1:0, ზ. მიქაძე — ე. უბილავა 0,5:0,5, ა. ბოკუჩავა—ზ. აზმაიფარაშვილი 0:1. ოთხი პარტია გადაიდო.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ: უბილავა — 7 ქულა, ე. გუფელდი — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, რ. ჯინჯიხაშვილი (ორივე—თბილისი) — 5,5 (1), მიქაძე — 5,5, ბუსლაევი, აზმაიფარაშვილი — 5-5.

უფლავათო ბრძოლა გაჩაღდა გუფელდ — ჯინჯიხაშვილის შეხვედრაში, რომელმაც საერთო ყურადღება მიიპყრო. მეტოქეებმა გვირგვინისნები ლაზიერის ფრთაზე გახიზნეს, რათა უშიშრად ემოქმედათ. როცა მეფის ფრთაზე შეტაკებას შედეგი არ მოყვა, ბრძოლის სიმძიმემ ლაზიერის ფრთაზე გადაინაცვლა. თამაშისთვის განკუთვნილი ხუთი საათი ამოიწურა. პარტია გადაიდო გუფელდის უპირატესობით.

მიქაძე — უბილავას შეხვედრაში მძაფრი ბრძოლა სიცილიური დაცვის დახურულმა ვარიანტმა განაპირობა. მიქაძე ვერ დაეუფლა ინიციატივას, თუმცა ლაზიერის ფრთაზე აქტიურად თამაშობდა. უბილავამ გაათანაბრა პოზიცია და ინიციატივის ხელში ჩაგდებას თავად შეეცადა. როცა მეტოქეებმა საწადელს ვერ მიაღწიეს, 42-ე სვლაზე დაზავდნენ.

ბოკუჩავას იერიში უყვარს და ეხერხება კიდეც. ერთხელ მან თვით მ. ტალს მოუგო. ბოკუჩავამ აზმაიფარაშვილსაც შეუტია, მაგრამ მხედრის შეწირვით შეცდომა დაუშვა. ჭაბუკმა მოპადრაკემ შეინარჩუნა უპირატესობა.

საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. IX ტური. მ. ვაჩეიშვილი — მ. კალანდაძე 1:0, ც. კახაბრიშვილი —, ქ. გაჩეჩილაძე 0,5:0,5, მ. წერეთელი — ლ. ბელოზიოროვა 1:0, ც. კობაიძე—ქ. გეგიძე 0,5:0,5, ვ. კუპრაშვილი — ა. ჩაიკოვსკაია 0:1, ნ. მანველოვა (ყველა — თბილისი) — ე. აპრესოვა (გორი) 1:0, ნ. ხუბულური (ონი) — ნ ოსელიანი (თბილისი) 1:0, სამი პარტია გადაიდო.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ: კობაიძე — 7,5 ქულა, ჩაიკოვსკაია — 7, თ. ხუგაშვილი (თბილისი)— 6,5 (1), ოსელიანი, გაჩეჩილაძე, კახაბრიშვილი, წერეთელი — 6,5-6,5.

ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა კობაიძე — გეგიძის შეხვედრა. ხუთსაათიანი ბრძოლის დასასრულს

პარტია გადაიდო, მაგრამ ორე მეტოქენი დაზავდნენ.

სიცილიურ დაცვაში კუპრაშვილმა ჩაიკოვსკაიას თემატური გარღვევა განახორციელებინა და თავად ცენტრში სუსტი პაიკი შეიქმნა. ამან გადაწყვიტა პარტიის ბედი.

ოსელიანმა ისე უხეიროდ გაითამაშა უფიმცვის დაცვა, რომ ხუბულურმა ათიოდე სვლაში მოსაგები პოზიცია მიიღო. ონელმა მოპადრაკემ იერიშით დაატყვევა ცენტრში დარჩენილი ოსელიანის მეფე.

თ. ნინოშვილი.

მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების პერიოდში პიონერთა ბანაკებში ფიზიკურ ზრდის ხელმძღვანელად წასვლის მსურველი ფიზიკურ ზრდის მასწავლებლებისა და ცურვის სპეციალისტებისთვის 24-29 მაისს ტარდება სემინარი.

ბანაკში წასვლის მსურველებმა ცნობებისთვის უნდა მიმართონ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსების დირექტორს ე. კორაშვილს.

დღეს

თბილისის ზღვის საწყლოსნო ბაზაზე მოეწყობა მასობრივი ღია სტარტები ბიდარების, კანოეებითა და სახალხო ნიჩბოსნობაში.

ასპარეზობა გამართვებ ი ს დღეს — 9 მაისს ეძღვნება. დასაწყისი 13 ს.

თბილისის სპორტულ ბუნებაზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 9 მაისი. „ისნის“ სტადიონი. ასკ (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი). დასაწყისი 12 ს. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). 12 ს. მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. 10 მაისი. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი). 16 ს. 12 მაისი. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი). 15 ს. ასკ (თბილისი) — „სულორი“ (ვანი). 17 ს.

თბილისის უნივერსიტეტისა და „დინამოს“ ვეტერანი კალათბურთელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი

შალვა მიხეილის ძე დიასამიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02572